ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1131151

ნომერი: AR1197440

თარიღი : 14.02.2014

გაცემის თარიღი : 18.02.2014

გაცნობის თარიღი : 18.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგოლაური , N 18 , კორპ. "ა"-ს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ფილიშვილი პ/ნ 01027023091
- ხომლელის4 ბ25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს: ქ. თბილისის საკრებულოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები, ნარგავების არსებობა. ფუნქციური ზონით განპირობებული შეზღუდვა და ა.შ.), იძენენ „იძულებით შეუსაბამო“ უძრავი ობიექტის იურიდიულ სტატუსს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი თავისი კონფიგურაციით, ადგილმდებარეობით და ფართობის სიმცირის გამო (12კვ.მ) არის სამშენებლო განვითარებისთვის შეუსაბამო, რომელიც არ იძლევა სრულყოფილი დამოუკიდებელი ობიექტის განთავსების საშუალებას. ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია მისასვლელი გზა (შემოფარგლულია დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთებით) რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ფიქსირდება შეზღუდვა – დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ღობის მოწყობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.